საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი
საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის
უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ წარმოდგენილი გაწეული საქმიანობის ანგარიში (№2-5534/21, 13.05.2021) მიჩნეულ იქნეს დამაკმაყოფილებლად.
2. საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 17 თებერვლის №238-IVმს-Xმპ დადგენილებით შექმნილ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას 2021 წლის 17 მაისიდან გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 1 თვით.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე — კახაბერ კუჭავა

თბილისი,
2021 წლის 13 მაისი.
№485-IVმს-Xმპ